№ 41

ხუთშაბათი 24, თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 41

ხუთშაბათი, 24 თებერვალი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

## რედაქციისაგან

რადგანაც იძულებულნი შევიქენით სტამბა და აწყობა გაზეთისა ახალ წესზედ დავაყენოთ და ვიდრე ყოველს ამას მოვაწყობდეთ, დროა საჭირო, ამიტომაც შემდეგი ნომერი გამოვა 29-ს თებერვალს. დაკლებულს ნომრებს შემდეგ შევავსებთ იმით, რომ ორშაბათობითაც გაზეთი გამოვა, ვიდრე ნომრები შესრულდება.

**ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა**

აცხადებს, რომ მარტის ოცდაექვს, საღამოს შვიდ საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

კრების გასარჩევად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა წარსულის 1899 წლის განმავლობაში და დამტკიცება მონაგების განაწილებისა.

2) დანიშვნა რიგისა და ზომის იმ გასამჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის პირთა.

3) განხილვა და დამტკიცება ხარჯთაღრიცხვის 1900 წლისათვის.

4) მოხსენება გამგეობისა საზოგადოების ახალის შენობის შესახებ და მაზედ დანახარჯის აღრიცხვა.

და 5) აღრჩევა წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერის: ორის რჩევის დეპუტატის, გამგეობის დირექტორისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებისა და ამ უკანასკნელთა კანდიდატებისა და სხვა თანამდებობის პირთა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

როგორც წერილები, ისე ვექსილები უნდა მიუვიდეს საზოგადოების გამგეობას კრებამდის სამის დღით წინ მაინც.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჩიჩინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკოვიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ბორჩალოს მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავადი ივანე ანდრონიკაშვილი—სიღნაღის მაზრის მომრიგებელ შუამავლად; თიონეთის უფროსის თანაშემწე თავადი აბხაზი—ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ შუამავლად.

## ახალი ამბავი

*** როგორც გაზეთებს შეუტყვიათ, ამა წლის აპრილს კავკასიაში აპირობს ჩამოსვლას სჯულის საქმეთა მინისტრი ნ. ვ. მურავიოვი. მინისტრს აზრადა აქვს აქედგან იმიერ-კასპიის მხარეშიაც წავიდეს.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე პეტერბურგიდგან ტფილისში 26 თებერვალს დაბრუნდება.

*** მეორედ, 22 თებერვლისათვის დანიშნული კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა არ შესდგა, რადგანაც არ შეიკრიბა საკმაო რიცხვი თავად-აზნაურთა.

*** ქალაქ ზუგდიდში ამა 1900 წლის პირველ მარტიდგან დაიწყებს მოქმედებას საურთიერთო კრედიტის საზოგადოება. საზოგადოების წესდება კარგა ხანია სათანადო მთავრობას დაუმტკიცებია.

*** დღეს, 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბინაზედ მოხდება გუბერნატორის თავმჯდომარეობით ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ უმთავრესის კომიტეტის წევრთა კრება.

*** ბ-ნმა ოსტროგორსკიმ, რომელიც 21 თებერვალს ქალაქის საპკომ აირჩია ქალაქის სასწავლებელთა კომისიის წევრად, უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ.

*** „ტფილ. ფურც." სიტყვით, ტფილისში არსდება კავკასიის მხერხავი და სპიჩკის გამკეთებელ-მწარმოებელი სააქციონერო საზოგადოება. ძირის თანხა საზოგადოებას 600 ათასი მანეთი ექნება. თითო აქცია 250 მანეთი ეღირება.

*** ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი მშვენიერი ძველი ქართული ხელნაწერი XVII საუკუნისა, სახელდობრ, „როსტომიანი" ფირდუსისა, სპარსულად „შაჰ ნამედ" წოდებული. ეს ძვირფასი ხელთნაწერი მთლად დაუხევ-დაუფხრეწიათ, ისე რომ ამ ვრცელის ტომიდგან სულ 40 ფურცელიღა დარჩენილა. საინტერესოა ეს ხელთნაწერი მით უფრო, რომ ქაღალდში რაღაც ქართულის მსგავსი ასოები სჩანს. ვფიქრობთ, რომ საქართველოში XVII საუკუნეში ქაღალდის ქარხანა უნდა ყოფილიყოს, სადაც აკეთებდნენ ქართველთათვის საწერ ქაღალდს.

*** 8-დგან 15 თებერვლამდე ტფილისში წითელით ავად გამხდარა 5 კაცი, ქუნთრუშით—11 (ერთი გარდაცვლილა) და სახადითაც 4.

*** ნავთლუღში, საყასპოს წინ შეუდგნენ პატარა ბაღის გაშენებას. ჯერ-ჯერობით ბაღისთვის ნახევარი დესეტინაა მიზომილი; აზრადა აქვთ შემდეგში ბაღი გაადიდონ.

*** 20 ოქტომბერს ს. ზუგუმში ალექსი ქუქჩიას გაუტეხეს ღამით ოთახი, საიდგანაც მოიპარეს სხვა-და-სხვა ტანისამოსი და ქვეშსაგები. სახლში იმ ღამეს არავინ ყოფილიყო; ქურდებს ამით ქსარგებლნათ, მისულიყვნენ და, კარი რომ ვერ გაეტეხათ, პატარა ფანჯარა ჩაემტვრიათ და გრძლის თავ-მოხრილის ჯოხით გამოეტანათ ნივთები. ამ საქმის გამო ბოქაული ლ. მახარაძე მოვიდა და გამოძიებას შეუდგა. ქურდი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

*** სოხუმი. როგორც გავიგეთ, საფოსტო გემი „ოლგა" ფეოდოსიის ახლოს დაზიანებულა ღელვისაგან, რის გამო ის დაუტოვებიათ ფეოდოსიაში შესაკეთებლად.

*** ბაქო. წარსულს წელში აქაურმა ქართველებმა რამდენჯერმე განიზრახეს კრების გამართვა, რომელსაც აქ არსებულ ქართულ სამკითხველოს ბედ-იღბალი უნდა გარდაეწყვიტა და 19 დეკემბერს, როგორც იყო, შესდგა კიდეც კრება. კრებაზედ ბევრი სხვა-და-სხვანაირი აზრი გამოითქვა სამკითხველოს შესახებ: ზოგიერთები, მაგალითად, ამტკიცებდნენ, რომ უმჯობესია სრულიად გაუქმდეს იგი, რადგან რაც ფული იხარჯება იმაზედ, იმდენი სარგებლობა არ მოაქვსო. უნდა ვიცოდეთ, რომ სამკითხველოს სასარგებლოდ ყოველ წლობით ანარჩუნებდნენ ხოლმე ერთს ნაწილს იმ ფულისას, რომელიც შემოდიოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართულ საღამოდგან. მაგრამ ეხლა ზოგიერთმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს ფული სავსებით გაეგზავნოს ხსენებულ საზოგადოებას, რადგან ის უფრო დიდ მნიშვნელოვანი დაწესებულება არისო. ამიტომ, ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, გარდაწყვეტილ იქმნა დასტოვონ სამკითხველო, მაგრამ იმის შესანახად სხვა წყარო გამოსძებნონ.

*** ტობანიერი, (ქუთაისის მაზრა). აქეთ მეტად ცუდი ტაროსები დაუდგათ ქირნახულის აღების დროს; ამოვარდა დასავლეთის ქარი, თან მოჰყვა წვიმა-სიცივე, ადიდდა მდინარეები, ატალახიანდა გზები და სხ. ყველა ამ მიზეზისა გამო ხალხი დიდის გაჭირვებით ეზიდებოდა სარჩოს სახლში. როგორც ყოველ წელს, ისე წრეულსაც სიმინდს ბევრი გაუჩნდა მყიდველი: გაიკეთეს ჩალის ქოხები, დააწყეს შიგ 5 მანეთის საწვრიმალო და ამგვარად დაიწყეს მთელის წლის სარჩოს შეძენა. თუმცა მთავრობის-მიერ აკრძალულია სიმინდის ტაროზედ ვაჭრობა, მაგრამ მაინც ახერხებენ სოფლის ჩარჩები, რადგან სოფლის მოხელეები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მთავრობის განკარგულებას.

17 ოქტომბერს ღამით გ. ჟღენტს კორძაძეს დაეწვა სახლი, სასიმინდეები და მთელის წლის სარჩო.

*** ჭიათურა. 13 თებერვალს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ჭიათურის ფოსტის განყოფილების უფროსი ნოშრევან ზურაბის ძე ოქროპირიძე, რომელიც ჭიათურაში მსახურებდა ექვსი წელიწადი და თავისის პატიოსანის და მშვიდის ხასიათით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა საზოგადოებაში. განსვენებულს დარჩა ცოლი და ორი პატარა ქალ-ვაჟი. განსვენებულის გვამი 16 თებერვალს ჭიათურიდგან წაასვენეს თავისს სამშობლო ს. დისევს, გორის მაზრაში. ცხედარი სახლიდგან ხელით მიიტანეს ჭიათურის რკინის გზის სადგურზედ და მრავალი ხალხი გაჰყვა. მის კუბოს ამშვენებდა გვირგვინები, მიტანილი შავი ქვის მწარმოებლებისა, ჭიათურის ვაჭრების და ჭიათურისავე ინტელიგენციის მიერ. სადგურზედ პანაშვიდი გადუხადეს განსვენებულს და გამოსათხოვარი სიტყვებიც წარმოსთქვეს თავ. დავით ლეჟავამ, მასწავლებელმა ბესარიონ ვაშაძემ და ტეხნიკოსმა კარპე მოდებაძემ.

*** სოხუმი. 18 თებერვალს აქაურ სცენის მოყვარულთაგან, კნეინა ადათი შერვაშიძის მეთაურობით, გამართულ იქმნა წარმოდგენა ტფილისის მომავალ ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს კომედია „ბაიყუში" და ვოდევილები „მონადირე" და „დატრიალდა ჯარა". წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ანასტ. კიწმარიშვილისა, მაგრ. თურქია, ანეტა ჩხენკელი და ბარბარე ხრამელაშვილისა და ბ-ნები ანდრ. ჯაფარიძე, ის. ხახუტაშვილი, თ. სახოკია და მ. ხოხიაშვილი. იმის და მიუხედავად, რომ სცენა საშინელი პატარა და უხერხული იყო და მოთამაშეთ არა ჰყავდათ არც რეჟისორი და არც სცენარიუსი, წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგად შეასრულეს თავიანთი როლები—„ბაიყუში" თალიკოსი—მაკრინე თურქიამ და ელისაბედისა—ანასტ. კიწმარიშვილისამ. აგრეთვე, თუმცა წარმოდგენის ნება-რთვა გვიან მოვიდა და განცხადების დაუბეჭდველობის გამო ხალხმა გვიან გაიგო, რომ წარმოდგენა იმართებოდა, მაინც დარბაზი ისე იყო გაჭედილი ხალხით,

რომ ერთი დასადგომი ადგილიც არსად მოიძებნებოდა.

*** **ს. მარტვილი**, (სენაკის მაზრა). 18 თებერვალს აქ გაიმართა ქართული წარმოდგენა, რომლის გამგედ ბრძანდებოდა კნ. ეფროსინე ნაკაშიძისა. წარმოადგინეს ცაგარლის კომედია „ბაიყუში“ და ვოდევილები—„მონადირე“ და „დატრიალდა ჯვარა“. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ტატიშვილი, ზ. დგებუაძე, ელ. გეგეჭკორისა და ნინო გეგეჭკორი; ბ-ნნი ნიკ. ბარაბაძე, ალ. სანაძე და ასათიანი. წარმოდგენა დაიწყო $8^{1}/_{2}$ ს. დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, განცხადებანი გაეგზავნათ დაბებსა და სოფლებში, რის გამო სტუმრების რიცხვი ბევრი იყო. თითქმის ერთი მესამედი მაყურებლებისა სტუმრებისაგან შესდგებოდა, მოსულნი იყვნენ დ. ახალ-სენაკიდან, ს. აბაშიდან, ბანძიდან, გორდიდგან და სხვა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მეტად კარგი იყო ნ. ბარაბაძე თავქარიანის როლში, საზოგადოება იმას ხანგრძლივი „ვაშას“ ძახილით აჯილდოვებდა. ქ-ნი ქ. ტატიშვილისა ელისაბედის როლში სწორედ რომ საუცხოვო იყო. მისმა მოხდენილმა, მაღ დაუტანელმა თამაშობამ საზოგადოება დიდად ასიამოვნა. დანარჩენ მოთამაშეთაც არა უშავდათ-რა. წარმოდგენისაგან შემოსული ფული საქველმოქმედო საქმისთვის არის გადადებული და შემოსავალი უნდა უდრიდეს, როგორც გავიგეთ, ცხრა თუმან ნახევარს.

დიდი მადლობის ღირსია გამგე წარმოდგენისა კნეინა ეფროსინე ნაკაშიძისა და ყველანი, ვინც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში.

*** 2 თებერვალს პოლიციის მოხელემ შეიპყრო ახალციხის მცხოვრები თომა ფანაზოვი, რომელსაც ტფილისის სასამართლო პალატამ კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა ახალციხეში დისტანციის უფროსის დავიდოვის მოკვლისათვის. ფანაზოვი პოლიციის ნაწილში დაუპატიმრებიათ. რამდენისამე საათის შემდეგ პატიმარს უთხოვნია ეზოში გასვლა. მოხელეს ნება დაურთავს; მაგრამ დარაჯი კი არ გაუყოლებია, ფანაზოვს უსარგებლნია ამითი და გაქცეულა.

## დავით ლორთქიფანიძე, თუ კალლისტრატე ჩიკვაიძე?!

ქუთაისის საბანკო ბრძოლის შემდეგ კალლისტრატე ჩიკვაიძის მიმხრეობის გამო ბევრი იმითი მართლულობს თავს, ვითომც ოპპოზიციას უღირსი მოპირდაპირე გამოეყვანოს. რითი სჯობია დავით ლორთქიფანიძე კალლისტრატე ჩიკვაიძეს? გაიძახიან. საკვირველია, რომ ამასვე გაიძახის დღემდის პოეტი აკაკი წერეთელიც და, ასე გისინჯეთ, თვით უდიდესი პუბლიცისტების (?!) ორგანო „კვალიც“. დიაღ, საკვირველია, რადგან მათ თუმცა პუბლიცისტებათ აღუარებიათ თავი, კერძო საზოგადოსაგან ვერ გაურჩევიათ.

შესაძლებელია, რომ ბ-ნი დავით ლორთქიფანიძე პირადად ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძეს ვერც კი სჯობდეს, პირიქით იქნება იგი ბევრგვარის ღირსებით კიდევაც აღემატებოდეს პირველს, თუმცა—ჩვენთვის რომ ვთქვათ, არც ერთი მისი ღირსება, საჭირო საზოგადო საქმისათვის, დღემდის არავის აღუნიშნავს. მართალია, აკაკი წერეთელმა აღნიშნა „სიცოცხლით სავსე მოძრაობა და სტუმართ-მოყვარეობა“, მაგრამ ამ ღირსებათ თავის თავად არაფერი არ გაუკეთებიათ. მიკვირს, რად დასჭირდა აკაკი წერეთელს ამ „სიცოცხლით სავსე მოძრაობის და სტუმართ-მოყვარეობის“ საქვეყნოდ წამოჭიმვა. ნუ თუ პატივცემული პოეტი რაიმე საზოგადო ფასს სდებს ამ თვისებათ?! საკვირველი და საცინელია, სამწუხარო რომ არ იყოს.

რამდენი ხანია, ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის ხელშია ბანკი, რომელიც მისის წყალობით დღეს ძლივს ჰლაფავს სულს. ნუ თუ ეს საკმარისი არ იყო მცირეოდენ გონიერების პატრონისათვის კალლისტრატეს ბანკირად უვარგისობის დასამტკიცებლად?! მაშ რად ესარჩლებოდენ? პასუხი ადვილია, თუმცა სათქმელად ძნელი. ბ-ნ კალლისტრატეს მომხრეები ვერ არჩევენ კერძოს საზოგადოსაგან და რადგან მოსწონთ მისი „სიცოცხლით სავსე მოძრაობა“ და „სტუმართ-მოყვარეობა“, ამიტომ ემხრობიან.

დარწმუნებული ვარ, რომ სულ ისეთი ვერაგობა არ იქნებოდა ბ-ნ კალლისტრატეს მომხრეებში, როგორც ოპპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენს ჰგონია. ბევრი ალბად გულწრფელად ჰმოქმედებდა და დარწმუნებული იყო ბ-ნის კალლისტრატეს სიმართლეს. იმათი დანაშაული ის იყო, რომ საზოგადო თვალთა-ხედვის მწვერვალამდის ვერ ამაღლებულან, კერძო საზოგადოსაგან ვერ გაურჩევიათ და არც კი სცოდნიათ, თუ ქვეყანაზედ საზოგადო საქმე არსებობს. ბ-ნი ნოე ჟორდანია იმითი ჰხსნიდა ბ-ნ კალლისტრატეს გამარჯვებას, ვითომც იგი წვრილ ბურჟუაზიას, იცავდა ფეოდალების წინააღმდეგ. მაგრამ ამაზედ უსაფუძვლო აზრი არც კი მსმენია. თუ-კი ბურჟუაზიისათვის კრედიტი საჭიროა და ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძეს-კი საკრედიტო დაწესებულობის საქმე ცუდათ მიჰყავს, ცხადია, იგი ბურჟუაზიისათვის სასარგებლო არა ყოფილა. მე-კი ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის გამარჯვებას იმას მივაწერ, რომ ამომრჩევლები ვიწრო, კერძო ინტერესებს შეუპყრიათ, რომ მათ სრულიად არა აქვთ მოქალაქობრივი აღზრდა. ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის ამორჩევა მიეწერება ამომრჩევლების უმოქალაქობასა და უმეცრებას და არა მათს მოქალაქობრივ შეგნებას, როგორც ჰგონია ნ. ჟორდანიას.

ბ-ნი დავით ლორთქიფანიძეო? იკითხავთ. მოგახსენებთ, რომ შეუძლებელია საბანკო საქმეში იგი ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძეს არა სჯობდეს, რადგან შეუძლებელია ვინმემ ისე ცუდათ წაიყვანოს საბანკო საქმე, როგორც ბ-ნმა ჩიკვაიძემ.

ამას გარდა, ჩვენ კიდევ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მხოლოდ ორ მოპირდაპირეს, ე. ი. კალლისტრატე ჩიკვაიძესა და დავით ლორთქიფანიძეს. ისინი იმათ ამომრჩევლებს ექვემდებარებიან, ამომრჩევლების ნების აღმასრულებელნი არიან. ცუდის მიმართულებისაც რომ იყვნენ, ძალაუნებურად უნდა აასრულონ თავისის დასის წადილი. მაშასადამე, ბრძოლის დროს საზოგადო მოღვაწემ იმითი-კი არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ, როგორნი არიან ამოსარჩევი კაცები, არამედ რომელი დასია უკეთესი. ამ მხრივ, ყველა დამერწმუნება, არავითარი შედარება არ შეიძლება ოპპოზიციისა და ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის დასს შორის. ოპპოზიცია თხოულობდა და თხოულობს წესიერებას საბანკო საქმეში. ბ-ნი კალლისტრატე ჩიკვაიძის დასი-კი ხელს აფარებდა ყოველ-გვარ უწესოებას. ოპპოზიცია თხოულობდა ანგარიშის სიწმინდეს, კ. ჩიკვაიძის დასი კი არა. ოპპოზიცია თხოულობდა მეტს მხნეობას საბანკო უფლებათა გაფართოებისათვის, ბ-ნ კ. ჩიკვაიძის დასი-კი არა. ოპპოზიცია იბრძოდა სიტყვით, კრიტიკით, ანალიზით, ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის დასი მხოლოდ კენჭით. ერთის სიტყვით, ოპპოზიცია სცდილობდა დაბურდულის საქმის გამოწყობას, გამოკეთებას, ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის დასი-კი თითქო განგებ იყო მოწადინებული, რომ საქმე უფრო დაეფუშა. ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის დასში მოლაპარაკე არავინ ყოფილა თვით ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძისა და ბ-ნ ლოლუას მეტი. მაგრამ იმათი სიტყვები სწორედ რომ ღირსია კომედიებისათვის. ამაზედ სასაცილო და თან სამწუხარო საპასუხო ლაპარაკი არ გამიგონია. ბ-ნ კალლისტრატე ჩიკვაიძის სიტყვები რომ ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტებს წარმოადგენს, ეს კაი ხანია ყველამ უწყის, მაგრამ არც მისი დამცველი ბ-ნი ლოლუა ჩამოურჩება მას კომიკურ როლში. მაგალითად, მან აი რა სიტყვებით მიჰმართა ბ-ნ ა. ნანეიშვილს: შენ, როგორც დამფასებელი, გამგეობას უნდა უდგე გვერდში და ემხრობოდეო, ამის მაგიერ გამგეობას ებრძვიო; მიკვირს, უწინ სხვანაირი ზნეობა იყოო და სხ. მეტად საკვირველი, მეტად სასაცილო და თან მეტად სამწუხაროა, როცა მას, ვინც საზოგადო ასპარეზზედ გამოსულა, არ ესმის ისეთი მარტივი ჭეშმარიტება, რომ საზოგადო საქმეში ნათლიჯან-ხათრიჯანობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

დიაღ, ყოველი შეგნებული კაცი, ჩემი ფიქრით, ოპპოზიციას უნდა მიემხროს, მან ბ-ნ დავით ლორთქიფანიძეც რომ წარმოადგინოს კანდიდატად, რადგან ყოველი კანდიდატი იძულებულია დაემორჩილოს თავისს დასს და მი'ი ნება და სურვილი აასრულოს.

ვ. წ. (ფსევდონიმი)

### მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის განახლების საქმე.

იმ კომიტეტმა, რომელსაც მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის განახლების საქმე აქვს მინდობილი და რომლის თავმჯდომარედაც ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი კირიონია, უკანასკნელ კრებაზედ მოისმინა მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების, პეტერბურგის საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიის და აკადემიკოსის კონდაკოვის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიხუროს მცხეთის ტაძარი. კომიტეტმა საბოლოოდ გადასწყვიტა დახუროს ეს ტაძარი თლილის ქვით; ამიტომ დაადგინა: 1, დახუროს ტაძარი თლილის ქვით ისე კი, რომ არ შეიცვალოს გარეგანი სახე და განსაკუთრებული თვისებანი ძველებურის შენობისა და არ შეიცვალოს აგრეთვე ქართული არქიტექტურული სახე ტაძრისა.

2, მიენდოს კომიტეტის წევრს გ. ფ. კანდუროვს მოსძებნოს ადგილობრივ კარგი ოსტატები და ქვის მთლელნი, რომელთაც კარგად უნდა იცოდნენ ქვის შენობის აგება. თუ ასეთი ოსტატები აქ არ აღმოჩნდებიან, მაშინ საბერძნეთიდგან იქმნან დაბარებულნი.

3, შეუდგას ქვის ზიდვა მცხეთის ტაძარს წრდილოეთის მხრიდგან, აგრეთვე შიგნიდგან, თუ ეს საჭიროდ სცნეს. ამისათვის არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც შეადგენენ: დ. ზ. სარაჯიშვილი, გ. დ. ქართველიშვილი, არქიტექტორი ლ. ნ. ბილფელდი, გ. ფ. კანდუროვი, დეკ. ს. შოშიაშვილი და ა. ნატროშვილი.

ამავე კრებაზედ ყოვლად სამღვდელო კირიონმა განაცხადა, რომ ანანურის ტაძრის განახლების დროს ბევრი თლილი ქვა დარჩა, რომელიც შეიძლება გამოდგეს მცხეთის ტაძრისათვის. ამიტომ კომიტეტმა დაადგინა: მოელაპარაკოს დუშეთის მაზრის უფროსს ბ-ნ მესხიშვილს და სთხოვოს მას დახმარება აღმოუჩინოს ამ ქვის გადატანის დროს ანანურიდგან მცხეთაში.

# ფელეტონი

## წალკა და ტანჯული სოფელი რეხა

### (მგზავრთ საუბარი)

თავს რეხავ, ბოლოს ეძანო,
შუაში ბეშკანაშენო;
თუ მტერმან ასე გვირია,
სახლი როდის ავიშენო;
გინდამც სახლი ავიშენო,
შიგ როდის-ღა მოვისვენო?

ხალხური-ქართული

ეს მშვენიერი ძველი ლექსი შეჰმღერეს ჩემმა ორმა ს. დიდ-გომარეთის ქართველმა თანამგზავრმა, როცა ს. რეხიდან წამოსულთ გადმოვხედეთ სოფელ თეზის თავიდგან ტაშივით გაშლილს წალკას და ზედ გველაშაპივით კლაკნილ მდ. ქციას... ეძანი, ბეშკანაშენი ჩვენ თვალ-წინ იყო ამ ჟამად, სოფელი თეზი—ჩვენ ფერხთით. ს. თეზი ეხლა ამვარლოთ უქცევიათ ბერძნებს, ეძანი—პარმახსისად, ბეშკანაშენი—ბაშკოვად, მთელი წალკა წაურყვნიათ. ნანგრევებიდგან მიწაში რაღაც სოროები დაუკეთებიათ, ყიზილბაშურად აცვიათ, ჰიყჰიყებენ, ჰმღერიან, არე-მარე ყიზილბაშურ სახლებით მოუნათლავთ და თავი-კი „ბერძნულად“ მოაქვთ...

„Въ рабствѣ спасенное,
Сердце свободное
—Золото, золото,
Сердце народное“.

მეღიღინებოდა გულში ნეკრასოვის ლექსის ეს მშვენიერი ნაწყვეტი, როდესაც ჩემი თანამგზავრნი მაღლადა-მაღლა სწევდნენ და საამურად აწკრიალებდნენ ამ ისტორიულ ლექსის სიტყვებს პოეტურ სიმაღლიდგან... მაგრამ მღერის თრიალეთზედ გომარელი ქართველი, ეს ზაპოროგელ ყაზახთა ბედის მცხოვრები, რომელიც თავისუფლების დაცვის გულისთვის ვინ იცის საქართველოს რომელ კუთხიდან არ გადმოვარდნილა და დასახლებულა უშველებელ ხრამებით შემოზღუდულს ნაოხრებზედ. ამან ყველა ნაოხრების სახელი იცის წალკა-თრიალეთზედ და მთელ ბორჩალოში; ბევრი ისტორიული ამბავი შენახულა მათს მეხსიერებაში, ესენი, რეხელნი და მოშრევნის სოფელში მოსახლე მიჯა-ყალამშიელნი-ღა იცავენ ქართულ სახელებს უშველებელ ამოწყვეტილ მხარეში. ესენივე გულდამშვიდებულ სიმაღლიდან უმზერენ ნანგრევებზედ დასახლებულ ბერძნებს, ოსებს, სომხებს, დუხაბორებს და თვით გერმანელთაც-კი... მოჰკვდებიან და არ მისცემენ წალკელ ბერძენს ქალს; ოქროში რომ ჩაუსვან ბერძნებმა საპატარძლო, ეს ქართველები არ იკადრებენ და არ მოიყვანენ ცოლად!..

**

— მამასახლისო გიორგივ! რიხიანად შეეკითხა ერთი გომარელი მეორეს, როცა სიმღერა დაათავეს.

— ბრძანე, დიმიტრო! გამოეპასუხა ისიც.

— ღმერთი იყოს, გეთაყვა, შენი მბრძანებელი, მე-კი იმას მოგახსენებ: არ გაგიგონია, რომ ერეკლე მეფე ერთ თანამოჭინახულე თუშს აძლევდა მთელ წალკას და იმან არ ინდომა?!

— როგორ არა, დიმიტრო, თუშმა მოახსენა: თუ ჩემთვის წყალობა გინდა, მეფე-ბატონო, წიწკოლაანთ გვარში ერთი ხმალი აქვთ, ის გამამირთვი და მიბოძეო...

— დიახ, რომ გცოდნია, ჩემო ბატონო, მეფეს ხმალი მიუცია და წალკა-კი ტრამლად-ნაოხრად დარჩენილა. აგერ ეხლა რამდენი არზრუმელი ბერძნები არიან გადმოსახლებული ნაოხარებზედ... ეხლა 32 სოფელია წალკაზედ.

— გულს დაჰძმარავდა იმ თუშის შვილი-შვილს ეს ამოდენა მამულ-დედული...

— არა, გიორგი მამასახლისიო, მე მაგას ვერ მოგიწონებ და ღმერთს ვერ შევცოდავ. თუშს კაი საქმე უქმნია, ბატონობა არ უნდომნია, თავისუფლად დარჩომილა. ჩოქით სალამი და მუდამ სიტყვის მოლამაზება აბა რა იმათ ხელობაა?!..

— ჰე, მაგასაც-კი მართალს ჰბრძანებ მედა ჩემმა ღმერთმა, დიმიტრო! დაათავა მამასახლისმა და გულ-დასკვნით ამოიოხრა...

ამ ორმა ქართველურ ჯიუტობაზედ აშენებულმა ხასიათმა ფიქრში გამიტარა ჩვენი ქიზიყელები, გარეკახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები, მოხევეები, სვანები, რომელთაც არ მიიკარეს ახლო ბატონ-ყმობა თავისის ჰანგებით... თვალწინ გადამეშალა ტანჯული ფურცლები საქართველოს ისტორიისა მე-15 საუკუნიდგან დაწყებული, სადაც სისხლის მსმელ დიდ-მოურავის, შახაბაზების, შახთამაზყულების და ალა-მახმად ხანების საშინელ სისხლის ღვრას ზედ ემატებოდა ბატონების უგუნური ბრძოლა, გარყვნილება, ძმა-ძმის სისხლის ღვრა, საშინელი ტყვეთა სყიდვა, გამახმადიანებულ ათაბაქთა სისხლის-მსმელობა ოდესმე მათ მოძმეთა, თხისტვინური მტრობა და ერთმანეთის სისხლის-სმა, გურულ, დადია, ჰუჰუნიაშვილ, ბაგრატ გიორგებისა, რუსეთში გადალუპვა და სპარსეთის ნიადაგზე სისხლის ნთხევა, რჩეულ ქართველთ რაზმთა... ამ ფიქრებიდგან ისევ თანამგზავრთა დაწყებულმა ლაპარაკმა გამომარკვია.

—გიორგი, გიორგი?! კიდევ უნდა გკითხო რამე. კარგი, ყიზილბაშმა და ახალციხის ფაშამ სახლი არ ააშენებინა ქართველს, შიგ აღარ მოასვენა .. ე ქვეყანა რომ დამშვიდდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაბა-სოფელი

**სოფ. ფშაველი** (თელავის მაზრა).

წარსული წელიწადი სოფ. ფშაველისათვის კეთილად მოსაგონებელი არ არის. მიწის მოსავლის ნაკლებობა რომ ანგარიშში არ ჩავაგდოთ, მარტო ხალხის ავადმყოფობა და ზარალის მოგონება შეჰზარავს ადამიანს.

კახეთში ზაფხულობით მზის ამოსვლიდგან შუადღემდე ნიავი ალაზნიდგან მთებისაკენ უბერავს, ხოლო შუადღის შემდეგ მთელი ღამე მზის ამოსვლამდე—მთებიდამ ალაზნისკენ. ალაზნიდგან მონაბერი ნიავი ბევრს ვნებას ვერ აყენებს ხალხს, რადგან ამ დროს მუშა ახლად არის შესული საქმეში; მთების ნიავი-კი ძალიან მავნებელია მუშა კაცისათვის, რადგან ის ამ დროს ჯაფისაგან მოქანცულია და ვეღარა ჰგრძნობს ნიავის მავნებლობას; პირიქით, სიამოვნებას ჰგრძნობს და პერანგაც მრავალჯერ წამოწევს ხოლმე დასასვენებლად. ამ გვარ დასვენებაში, არ შეიძლება, თვალი არ მოატყუოს და, თუ ანთებას გადარჩა, უეჭველია, ციებას მაინც ვერ წაუვა. თავი-და-თავი მიზეზი მუშა კაცის ციებ-ცხელებისა ამ ნაირი გაუფრთხილებლობაა. ამის შემდეგ, რაკი ერთი გუნება შეეცვლება, წამალსაც რომ სვამდეს, რაც იმის სიცხიან გუნებას ესიამოვნება, იმას შეექცევა: არ ერიდება მჟავეს, მწარეს, მლაშეს, ყოველგვარ ხილს, რითაც, რასაკვირველია, ასუსტებს, ასნეულებს კუჭს, რომელიც ამის შემდეგ ვეღარ უძლებს სხვა უფრო ძლიერ სნეულებას და სიცოცხლეს ესალმება.

ამ შემთხვევაში უფრო ბეჩავები არიან დაც-უმაწვილები. რაკი ყანები გაიჭრება, სულ კალოს პირზედ აღამებენ და ათენებენ აგვისტოს გასვლამდე. ამათ დღე თუ მიეძინათ, რაიცა ღამის სიმოკლისა გამო ძალიან ხშირია, სახურავი არ იციან, აქათ და ზაფხულიაო, დამეც მსუბუქად იხურავენ. ამ დროს ბავშვი უფრო ხშირადა ცივდება დღითაც და ღამითაც და ამიტომ ციებ-ცხელება ბავშვებს უფრო იბრიყვებს ხოლმე, ვიდრე მოზრდილებს. ავადმყოფის ბავშვის მოვლა და ხელის შეწყობა გაცილებით ძნელია: წამალს უშოვნი, ვერ დაალევინებ, საჭმელს ვერ დაათმობინებ, ხილს ვერ ააკვეთინებ. ამ ნაირ მდგომარეობაში ბავშვს ციებ-ცხელება არა ჰშორდება, უჩენს წყალმანკს, სიმსივნეს, და ზამთრის პირზედ ორ მესამედს ამათგანს ისტუმრებს კიდეც საიქიოსაკენ. თუ ამას ზედ დაერთო რაიმე გადამდები სნეულება, მაშინ ხომ ერთიც ვეღარ გადაურჩება სიკვდილს.

წარსულის წლის ივლისს სოფელ ფშაველში გაჩნდა სისხა. ამ სნეულების მიზეზად უნდა ჩაითვალოს საშინელი სიცხეები, ზაფხულში ხილის სიმრავლე და ცივი წყალი. სისხამ გასტანა ზამთრამდე და ბევრიც გამოასალმა წუთისოფელს.

ნათქვამის დასამტკიცებლად აღვნიშნავ მიცვალებულთა რიცხვს თვიურად:

| | მამრი | მდედ. | ამათ შორ. ბავშ. |
|---|---|---|---|
| აგვისტ. | 7 | 8 | 7 |
| სექტემ. | 8 | 10 | 14 |
| ოქტომ. | 4 | 6 | 5 |
| ნოემბ. | 9 | 5 | 4 |
| დეკემბ. | 5 | 4 | 3 |
| იანვარ. | 3 | 4 | 1 |

თუ მოვიგონებთ, რომ ფშაველის მცხოვრებთა რიცხვი ორივე სქესისა არ აღემატება ათასს სულს, ეს რიცხვი დახოცილთა ნახევარი წლის განმავლობაში საგრძნობელი უნდა იყოს.

არ შეიძლება აქვე მკურნალებიც არ მოვიგონოთ. ჩვენი მაზრის მკურნალ-ფერშლები ამირანსავით არიან მიჯაჭვულნი თავ-თავიანთ ბინებზედ, თუ საქმე გაჭირდა და სოფლად მიიწვიეს გადამდებ სენის საწინააღმდეგოდ, მაშინაც უწამლოდ, უშემწეოდ მიირბენენ სენით შეპყრობილ სოფელში, ჩამოივლიან ფეხმარდად ავადმყოფთა ოჯახებს და ეტყვიან: წამალი ჩვენს ბინაზედ მოიკითხეთო, და სწრაფად გაუდგებიან გზას. სხვა გვარ ავადმყოფთ თვალითაც არ გაიცდიან: ჩვენ ამათთვის არა ვართ ამ სოფლად მოსულებიო.

დავანებოთ ამას თავი და ჩვენთვის ვიფიქროთ: ნუ თუ არ შეიძლება მოხერხდეს, რომ მაზრის მკურნალმა წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოიაროს ხოლმე მთელის მაზრის სოფლები, მიაქციოს სოფლელთა სანიტარულ მდგომარეობას ყურადღება, მისცეს ხალხს შესაფერი დარიგება, თითო-ოროლა ავადმყოფიც გასინჯოს და სხ. სხვა რომ არა იყოს-რა, ხალხი შეეჩვევა მკურნალის ნახვას, მის სიტყვა-პასუხს, თორემ ეხლა ერთობ უფრთხის ცრუ-მორწმუნე სოფლის ხალხი „დოხტურს“; მეტადრე მაშინ, როცა „ბატონები“, „ანგელოზები“ და „მოარულებია“ სოფლად. აი ამის მაგალითიც: ეხლა სოფ. ფშაველში ყვავილია გაჩენილი. ჭორად გავიგონე, რომ უბნის დედაკაცებს პირი შეუკრავთ,—თუ მკურნალი მოვიდეს, ყვავილიანებს ნუ გამოვაჩენთ, თორემ, თუ ვინმე მოკვდა, მაშინვე დასწვავენო! ჯერ არავინ მოუკლავს ყვავილს, ხოლო შემდეგ რა იქნება, ვნახავთ.

ფშაველიშვილი

---

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარიჟში არსებობს „ტრანსვაალის კომიტეტი“, რომელიც შეწირულობას აგროვებს ბურების სასარგებლოდ და კოლონტიორებს (თავისუფალ მეომართ) ჰგზავნის ტრანსვაალში. ამ კომიტეტში წევრებად ჩაწერილა ეხლა პარლამენტის ბევრი დეპუტატი, პოლიტიკურ მიმართულების განურჩევლად. საერო განათლების მინისტრად ნამყოფს—რამბოს კომიტეტისათვის წერილი გაუგზავნია, რომელშიაც ამბობს: «დიდი ბრიტანიის ბურებთან ბრძოლას საფუძვლად უდევს მხოლოდ სამარცხვინო მოსაზრება. ლონდონის კაბინეტს იმედი აქვს გაიმარჯვოს მტერზე ჯარის დიდძალი უმრავლესობით და ქონებრივი საშუალებით. ეს მოვლენა დიდი უსამართლობაა ჩვენს საუკუნეშიო».

ასეთივე ზიზღით იხსენიებს ინგლისის საქციელს: დეპუტატი პალატისა ბოკიე, სოციალისტი ანტიდ ბუაიე, რადიკალები ჟერვილრეიში და მარშანი, ანტისემიტები დრიუმონი და მორინანი. განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია პოლიას წერილი, რომელიც ომის ისტორიულ შედეგს ეხება, და რომელშიაც ნათქვამია: «1815 წლიდგან მოყოლებული ინგლისი გაბატონებული იყო მთელს დედა მიწაზე და ამ ბატონობას ყველგან მძიმე ტვირთად სთვლიდნენ. ეხლანდელმა ომმა, სადაც პატარა ხალხი, რომელიც 300,000 სულისაგან შესდგება, ესე მამაცად ებრძვის ინგლისს, გააქარწყლა მისი სახელი, ხოლო რადგან ინგლისის გაბატონება მისს სახელზედ იყო დამყარებული, ამ ჟამად ერთი ქვეყანაც-კი არ მოიპოვება, რომელიც მზად არ იყვეს შეებრძოლოს მას.

„Greatest Britanian“, სიტყვა, რომელიც ასულდგმულებდა თვითოეულს ინგლისელს, უკვე აღარ არსებობს.

ამ ომის წყალობით ორი-სამი წლის განმავლობაში გერმანიას მძლავრი ფლოტი ეყოლება; ამ ომისავე წყალობით რუსეთმა თავისს გავლენას დაუმორჩილა სპარსეთი და ავგანისტანშიაც ჩქარა მოიპოვებს დიდს გავლენას; კიდევ ამ ომის წყალობით ისე გაუჭირდება ინგლისს საქმე ჩინეთსა, აბაშეთსა, ოსმალეთსა, ეგვიპტეში და სხვაგან ყველგან, რომ სრულებით ვერას გააწყობს. ამნაირად, ახალს საუკუნეს ისეთი გარემოება მოჰყვა თან, რომელიც ამ ექვსი თვის წინად აზრადაც არავის მოუვიდოდა. აქედგან ცხადია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები მარტო თავიანთთვის როდი წვალობენ და ჰღვრიან სისხლს, არამედ მთელი კაცობრიობისათვის».

—

**ინგლისი.** ეხლანდელ ომის წინააღმდეგ თვით ინგლისშიაც გაძლიერდა მოძრაობა. აი, მაგალითად, რას ამბობს ინგლისის ცნობილი მწერალი ქალი უაიდა:

«ნუთუ ჩემმა თანამემამულეებმა არ იციან, რომ ინგლისი ამ ჟამად ყველას შესძულდა მთელს ევროპაში? რას შესძენს ჩვენს ქვეყანას, თუ გინდ მთელი ნახევარ დედამიწის დაპყრობა, ამის გამო ის თავისს კარგს სახელს თუ დაჰკარგავს? თავისი სახელი ინგლისმა უკვე დაჰკარგა და მანამდისინ ვერ აღადგენს მას, სანამ ჩვენში გამეფებულ იქმნება შეუფერებელი ლტოლვილება იმპერიალიზმისადმი და მოძღვრება პირად ინტერესების მიმდევართა, რომელთა მოთავე ჩემბერლენია. მწერლობის დიდმა ნაწილმა გაჰყიდა თავისი სინიდისი და ამგვარ მოძღვრების სასარგებლოდ ჰქადაგებს, მაგრამ მით უფრო არის საჭირო მედგრად ვებრძოლოთ განსაცდელს».

---

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას უცხადებ ქ. ტფილისის მოვაჭრეს დ. შ. ნაფეტვარიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს სასწავლებელს ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცას სურათები, ღირებული 10 მან., 300 რვეული და 200 კარანდაში, ღირებული 12 მან., და ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს ნ. ყუბანეიშვილს, რომელმაც შემოსწირა მოსწავლეების წიგნთსაცავს 20 ცალი მის მიერ გადმოკეთებული და გამოცემული წიგნი, ღირებული 1 მან.

ზედამხედველი მასწავლებელი ტობანიერის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლისა ვლადიმერ ცელიშვილი.

## სასამართლო ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეები განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველ დეპარტამენტში

4 მარტი.

საქმე ბრალდებულთა თავ. კონსტანტინე და ილიკო წულუკიძეთა, სილოვან ადამასისა და ნიკოლოზ ლორთქიფანიძისა, რომელთაც კნიაჟნა მარიამ წულუკიძის მოტაცების ბრალი ედებათ.

საქმე ნიკო ნანავასი, მაქსიმე კვარაცხელიასი, საუ ბერიშვილისა და ანდრია მარქოასი, რომელთაც სასჯ. დებულების მე-1654 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

11 მარტი.

საქმე სალდა მარგანიასი, რომელსაც ქურდობის ბრალი ედება.

საქმე ბარუხა შელიასი და პავლე ფიფხასი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

საქმე დიტო ბაზილავასი და მიკი ბაზილუასი, რომელთაც ავაზაკობის ჩადენის ბრალი ედებათ.

16 მარტი.

საქმე ბრალდებულის ფოთის პოლიცმეისტერად ნამყოფის მაქსიმე კოლობუეკისა, ინჟინერის ევგენი მეიერისა და სხ., რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 236 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

18 მარტი.

საქმე გიორგი თომაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

---

რატომ ისევ აღარ მოვიდა ჩვენი ხალხი და აღარ დასახლდა? რათაა მთელი ბორჩალო, წალკა და თრიალეთი ნაოხრებად დღეს? მერცხალი ხომ მერცხალია და ისიც ბუდეს არა ჰკარგავს; თუ დაუნგრევ,—მეორეს, მესამეს და მეოთხეს აკეთებს...

—ვინც გადარჩა, დიმიტრო, აკი მოვიდა კიდეც. დვალეთა, თონეთი, სომხეთი, ვაშლოვნიდგან დაწყებული ჩხივთა-ენაგეთამდე აკი ბოლოს კიდევ დასახლდა... სამშვილდე, ბოლნისი, ახპატი, დმანისი და მთელი ბორჩალო თათარს, სომეხს და ურცხოს იმიტომ დარჩა, დიმიტრო, რომ ი მერცხლები დაიჟლიტნენ, ამოჰწყდნენ და აბა რაღას მოიკითხავენ ძველ ბუდეს?!...

—მე და ჩემმა ღმერთმა, მართალი ბრძანე—რო არ დაღუპულიყვნენ, თავს დაანებებდნენ ასეთ მშვენიერ ნაოხრებს? ჰეჰ და ოლმასი ბორჩალო, წალკა და თრიალეთისთანა ნიადაგი!! დღიურზედ რაც აქ გამოდის, ქართლ-კახეთში სამის დღისას არ გამოუა; ან სხვაფრივ განა ქართლ-კახეთი სჯობია ამას?!.. მართალი ხარ, გიორგი, მართალი, დაღუპულა ქართველობა, უწინ ბევრი ყოფილა, მერე ამოჟლეტილა... იმიტომ არის აქ მიწა ჯანიანი, რომ ქართველთ სისხლით, ძვლებითა და ლეშით გასუქებულა—გამტყვრალა ეს ტიილი— დაათავა გიორგიმ და კიდევ ამოიოხრა....

**

ამის შემდეგ დაფიქრებულნი მივეღალებოდით კარგა ხანია ცხენებს, რომ ისევ დიმიტრიმ დაიწყო: რაც იყო, იმან ჩაილულის წყალი დალია და თქვენი პირიც წაიღო, მაგრამ ამ რეხელების საქმე მაშ სავალალო არაა?!. დიდება შენდა, ღმერთო! მართლა რომ შენს მსგავს ადამიანს, სინამ ჰქვას არ გამოულევ, არც წაახდენ.. ამ თხუთმეტის წლის წინად რა ერთობის ხალხი იყო რეხა, რა ვაჟკაცობის, რა ქართული ლაპარაკის, მღერისა და ჩაცმა-დახურვის— მთელ წალკა-თრიალეთს დაჰყიოდნენ, ჩვენ თუ არა გვჭარბობდნენ, არ გვივარდებოდნენ.... ეხლა ყველანი ყიზილ-ბაშურად ჯუჯიყებენ, თათრულს მეაქლემეებივით ჰპლავიან, 140 კომლში ერთმა არ იცის წერა-კითხვა, ლამის ტანისამოსიც-კი ყიზილბაშური ჩაიცვან...

— დიმიტრო, როცა პირველად სალდასტი მოიკრიბა, მაგათ სალდასტსაც ბერძნებში ურევდნენ, ხალხმა თავი გადაიკლა, ჩვენ ქართველები ვართ და ქართველებში გაგვირიეთო. მე მაშინაც მამასახლისი ვიყავ. ნაჩალნიკმა ჯერ მაგათ მღვდელს ჰკითხა, ვინ არიან ესენიო? და იმან უთხრა, ბერძნებიო. ორის წლის მოსული იყო რეხაში, წინათ აქ სულ ქართველი მღვდლები ჰყავდათ და ეშინოდა, რომ ვთქვა, ქართველებიო, მე გამაგდებენ და ქართველ მღვდელს მისცემენო... მღვდლის შემდეგ ხალხსა ჰკითხეს და იმათ ქართველობაზედ დააწერეს ხელი, მღვდელიც, მახსოვს, ძალიან შეთათხეს, ასე რომ ი პრატკოლზე მღვდელსაც-კი ხელი დააწერინეს და მას აქეთ რეხელების სალდათი ჩვენებთან გროვდება და არა ბერძნებთან... მაშინაც ეგ მღვდელი იყო, რომელიც ეხლა ურევს რეხელებს.

— კარგი, მამასახლისო, ბერძენი ჯიუტია... თითონ ხალხს რა ღმერთი უწყრება? ვახტანგაშვილები 10 კომლია, ორი იძახის, ბერძენი ვარ და რვა ქართველობს; საბაშვილი მამა იძახის, ბერძენი ვარ, შვილი—ქართველიო. პოლორჭიკაშვილი კოტელიდან ეხლახან გადმოსახლდა—მაგის მამა მედალაბანდე იყო, შენც კარგა გახსოვს და დალაბანდაშვილი დავუძახეთ. ეხლა იძახის, ბერძენი ვარ ბალაბანოვიო; გაყრილი ძმა-კი ილანძღება და ისევ ქართველობს... დიდება შენდა, ღმერთო, ასე ხალხის გადარევა გინახავს?!

— საბაშვილები და ხუციშვილები ი ქალის მოტაცებაზედ ერთმანეთს გადაემტერნენ, ჯიბრით ეხლა სოფელსაც ჰღუპავენ და თავიანთ თავსაც... თორემ განა არ იციან, რომ იმათში ბერძენი არც ერთი არ არის... ან, ჩვენი არ იყოს, აბა ერთი ქალი ჰყავთ მოყვანილი ცოლად ბერძნისა?! ან რო ბერძნები იყვნენ, ჩვენებური მაგათ ქალს მისცემდა?!.

— დასწყევლოს ღმერთმა ქართველის ბედი,—კაციანთ საზღვარი საპანაურის წყალიაო, იქამდის უდავნიათ—საპანაურის წყალი ჯამჯამას მთებიდგან გამოდის და ქციას ერთვის—ქვეყნის დასაწყისიდგან ესეა და ესეც ყოფილა—ზემლემერიაო რაღაც ეშმაკი მოსულა და ერეჯვნის მთებიდგან პატარა ჩანჩქრები, რომელიც ტესრების წყალში ჩადის, საპანაურის წყლად გაუხდია. „საპანაური ერეჯვნის მთებიდგან გამოდის და ტესრების წყალში ჩადისო“, დაადგნენ რეხელებს და სოფელში ჩაუსხეს ყორღნები... ჰღრიალებენ—ჰყვირიან რეხელები, ეგრე არ არისო, მაგრამ ვის რას შეასმენენ... ან უნდა ეს მართალი გააგონონ მთავრობას და ან ციციანთ შეეხვეწნენ, დაუთმონ ფასით ცოტა რამ მამული მაინც, თორემ ტანჯული იყო რეხა და გაიტანჯება უფრო...

— მეც ეგ მაწუხებს, გიორგი, რომ მაგაზედ არა ფიქრობენ ეს უბედურნი და ერთმანეთს სტაცვენ... კიდევ ვიტყვი—ღმერთო ჯერ ჰკვას წაართმევს ადამიანს და მერე ისე დაჰღუპავსო.. 15 წელიწადი რომ ადამიანი ქართულ მშობლიურ ენაზედ აღარ შეჰლაპარაკებდეს უფალს და აგრეც მოუათ... დაათავა დიმიტრიმ და ერთიც იმან ამოიოხრა...

მღვდ. ზ. გულისაშვილი

საქმე მიხეილ მეფისაშვილისა, ტუფან-რაჯაბ-ოღლისა და სხ., რომელთაც ივანე მეფისოვის მოკვლა ჰბრალდებათ.

24 მარტი.

საქმე ალექსანდრე ჩხენკელისა და ნესტორ გაბუნიასი, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-1655 მუხ. მე2 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

საქმე ივანე არველაძისა, რომელსაც კაცის მოკლა ჰბრალდება.

საქმე გიორგი მათუასი, კიმოთე შენგელიასი, დათა ლიპარტიასი და სხვ., რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე კუტა გერგაიასი, ეგნატე ცხადაიასი და ივანე სალაყაიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

საქმე პართენ კალანდიასი და ფილუ კვარაცხელიასი, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

# დეპეშა

22 თებერვალი.

**პენზა.** სოფელ ტაკმაკოვში, ინსარის მაზრაში, ეკკლესიის მახლობლად, იმ განზრახვით, რომ გაეძარცვათ, მოკლულ იქმნა დეკანოზი მასლოვსკი.

**კაპშტადტი.** ინგლისელების ძლიერი ჯარი კიმბერლეიდგან ჩრდილოეთისაკენ მიდის. მოელიან, რომ მდინარე ვაალზე ფორტინ-სტრიმთან, სადაც ხიდი დაქცეულია, ძალ და-ძალ მოუხდება ჯარს გასვლაო.

**ლონდონი.** ბრძოლის ველიდგან შემდეგი ამბები მოვიდა:

**სტერკსტრომი.** 22 თებერვალი. ბურებმა გუშინ დასცალეს სტრომბერგი.

**ოსფონტენი.** 20 თებერვალი. მტრის სიმაგრეს მდინარის ჩრდილოეთ მხარეს დღეს ყუმბარებს ესროდა ფრენჩის დივიზიის არტილერია.

**დორტრეხტი.** 22 თებერვალი. გენერალმა ბრიბანტმა დღეს სავსებით გაიმარჯვა ბურებზე. მტერმა ზარბაზნებით და სურსათით უკან დაიწია და ინგლისის ჯარი მისდევს.

**ლედი-სმიტი.** 20 თებერვალი. მეციხოვნე ჯარის ერთი ნაწილი დღეს ადგილების დასაზვერავად წავიდა ჩრდილოეთისაკენ და იზივორტის სერს იქით ბურებს შეხვდა. ბრძოლა ასტყდა, მაგრამ ჯარი იერიშით არ მისულა მტერზე. ჯარი უკან დაბრუნდა მცირედის დანაკლისით. იმბულვანის მთიდგან ბურებმა ყველა ზარბაზნები წაიღეს.

**სტერკსტრომი.** გატეკრი სტრომბერგში შევიდა დღეს დაუბრკოლებლად. ბურებმა დააქციეს რკინის გზაზე მისასვლელი გზები, მაგრამ თითონ სადგური დაუზიანებლად დასტოვეს.

**ლონდონი.** გენერალ ბრაბანტის გამარჯვების შესახებ შემდეგს დაწვრილებით ცნობებს იუწყებიან დორდრეხტიდგან 21 თებერვალს: ინგლისელებმა დაჰკარგეს 6 ანუ 5 კაცი და წაართვეს მტერს ერთი სიმაგრე, რითაც გაიუმჯობესეს თავიანთი მდგომარეობა. ბურები მედგრად იბრძოდნენ და თითოეულ ფეხის ნაბიჯ მიწას იცავდნენ. ბოლოს ისინი ძლეულ იქმნენ, უკან დაიხიეს და თან წაიღეს ზარბაზნები და სურსათი. ინგლისელებმა დაჰკარგეს ორივე დღის განმავლობაში 30 კაცი, იმათ რიცხვში 12 ანუ 13 მოკლულია. ბურების დანაკლისი ცნობილი არ არის; უთუოდ მეტია, ვინემ ინგლისელების მხრივ.

რობერტსი იუწყება ოსფონტენიდგან, რომ, როგორც ბულლერმა მაცნობა, ნატალი თითქმის სულ დაუცლია მტერს. ბურებმა დასტოვეს რამდენიმე საავადმყოფო ავადმყოფ და დაჭრილ კაცებით, მაგრამ სახედრები წაიყვანესო.

**კოლსბერგი.** ბურები ჯერ კიდევ იცავენ სიმაგრეებს ორანჟეს მდინარის სამხრეთ ნაპირას. ჯერ ერთი ხიდიც არ არის დაქცეული და მატარებლებს დაუბრკოლებლად შეუძლიანთ მიმოსვლა არტერტემგადისინ, რომელიც კოლსბერგისა და ნორვალპონტომის შუა გზაზედ იმყოფება.

**პარიჟი.** გამასწორებელ სასამართლოს სააპელაციო პალატამ დაამტკიცა პირველ ინსტანციის განჩინება ბერების საქმის შესახებ, რომელთაც ჯარიმის გადახდევინება ჰქონდათ გარდაწყვეტილი თითოს 16 ფრანკი, და ძალაში დასტოვა კონგრეგაციის გაუქმება.

23 თებერვალი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ მიიღო ბიუჯეტის დანარჩენი მუხლები; ამას გარდა ჩაუმატა გარდაწყვეტილება 34 მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხის შესახებ.

**მელენკი** (ვლადიმირის გუბერნია). 22 თებერვალს დაიწვა „მელენკოვის ტილოს ქარხანა. 5 ათასამდე მუშა დარჩა უსაქმოდ; გუბერნატორმა საქარხნო მმართველობისა და ადგილობრივ მოხელეთა დახმარებით ზომები მიიღო მალე შეუდგნენ მუშაობას, რომ დაცულ იქმნას მშვიდობიანობა მუშათა შორის, რომელნიც აღელვებულნი არიან სამუშევრის დაკარგვით.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ უარჰყო ირლონდიელთა საპასუხო წინადადება და მოუმატა აქციზი ჩაისა, თამბაქოსა, მაგარ სასმელებსა და ლუდს.

**კაპშტადტი.** პაარდებერგიდგან მოვიდა 3,600 ტყვე-ბური.

**დორტრეხტი.** ბრაბანტის დივიზიამ წაართვა ბურებს რამდენიმე ურემი; ერთი მათგანი ანრი მარტონის თოფებით იყო დატვირთული; ბურებს წაართვეს აგრეთვე ბევრი საქონელი და ცხვარი.

# განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება მ. შარაძის და ამხანაგობის გამოცემა

**მიცვალებულის საგალობელი**

წიგნში მოთავსებულია მიცვალებულის ყველა სძლის პირი, გადაღებულია ფ. ი. ქორიძის მიერ, ღირს 20 კ. და ისყიდება გამომცემელთა სტამბასა და წერა-კითხვის საზოგადოებაში.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა და ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიებში

**ისყიდება**

ახალს მშვენიერს ყდებში ჩასმული ალბომი

## „ქართველთა ტომი“

**2** მანეთად.

**აბრეშუმის**

შემოწმებული თესლი საუკეთესო ფაბრიკისა, ბაღდადი თეთრი და ფრან გულ-ყვითელი ჭარკვბისა მიჰმართონ

**მათე ნიკოლაძის**

წიგნის მაღაზიაში ქ. ბათუმს.

(20—4)

открыта подписка на 1900 годъ на

4-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ

# НОВЫЙ ЖУРНАЛЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИСКУССТВА И НАУКИ.

12 книгъ—4 большихъ тома, болѣе **7,000** столбцовъ больш. in-8° **2,000** иллюстраций на лучшей бумагѣ. (Книга обходится подписчику менѣе 35 коп.)

первое въ Россіи общественное иллюстрированное ежемѣсячное изданіе. (Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ ежемѣсячниковъ).

| | | |
|---|---|---|
| На годъ . . . . . | 4 р. | — к. |
| Съ доставк. и перес. | 5 „ | — „ |
| На полгода. . . . | 2 „ | 50 „ |
| Съ доставк. и перес. | 3 „ | — „ |

**СОДЕРЖАНІЕ „НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ въ теченіе всѣхъ 12 ти мѣсяцевъ 1900 г.** будетъ еще богаче, чѣмъ въ предшествующее трехлѣтіе и по выбору наилучшихъ произведеній выдающихся писателей и художниковъ, и по разнообразію и новизнѣ литературныхъ, научныхъ и художественныхъ этюдовъ и частей съ иллюстраціями. Изъ нихъ отмѣтимъ **наиболѣе крупныя и значительныя:**

НОВОЕ ПРОИЗВЕДЕНІЕ ЭМИЛЯ ЗОЛА, **еще не издававшееся во франціи.**

новый романъ Анатоля Франса.

новые разсказы гюи-де-мопасана.

фантастическій романъ **УЭЛЬСА** (автора „Борьбы міровъ“). послѣ дождика въ четвергъ.

англійскій юмористическій романъ **венера и амуръ.**

философскіе романы Вольтера.

**ЭПОПЕЯ РАБЛЭ.** о героическихъ дѣяніяхъ и реченіяхъ добраго пантагрюэля. съ французскаго текста XVI вѣка. **Съ многочисленными иллюстраціями Доре.**

изъ автобіографіи марка Твена.

новое жизнеописаніе Оливера Кромвеля.

Монографія **Джона Морлея**, знаменитаго писателя и государственнаго человѣка Англіи, друга Джона Стюарта Милля и Гладстона, извѣстнаго своими трудами о Гладстонѣ и Ричардѣ Кобденѣ.

**Многочисленныя иллюстраціи этого труда** состоятъ изъ оригинальныхъ рисунковъ извѣстныхъ англійскихъ рисовальщиковъ и неизданныхъ еще рѣдчайшихъ портретовъ Кромвеля и картинъ, изображающихъ эпизоды его жизни и дѣятельности, изъ коллекцій: королевы Викторіи, галлерей Англійской Національной, Французской, Дрезденской, С.-Петербургскаго Эрмитажа, Итальянской и другихъ.

Нравственно-общественные этюди Макса Нордау.

избранныя страницы фридриха ницше.

**СЕЗАМЪ И ЛИЛІИ.** Джона Раскина (John Ruskin). Первый полный переводъ. (Простыя мысли о книгахъ, какъ мы ихъ читаемъ, какъ могли бы и должны бы ихъ читать).

## АТМОСФЕРА

**Капитальный и увлекательный трудъ знаменитаго ученаго популизатора КАМИЛЛА ФЛАММАРІОНЪ (въ 6 книгахъ съ 300 иллюстраціями).**

Авторъ этой книги такъ характеризуетъ роль воздуха, опредѣляя вмѣстѣ съ тѣмъ содержаніе этой прелестной популярной книги: „Онъ окружаетъ міръ живительной средой, онъ возвѣщаетъ день и провожаетъ ночь, онъ носитъ облака и распредѣляетъ дожди. онъ ласкаетъ фіалку и вырываетъ съ корнемъ дубъ, онъ оплодотворяетъ землю, изсушаетъ ее; онъ жжетъ и леденитъ, онъ поддерживаетъ вѣчные снѣга на вершинахъ горъ, онъ производитъ весну и зиму, онъ царитъ надъ нами какъ капризный властеливъ—то веселый, то печальный, спокойный здѣсь, ужасный тамъ, вездѣ своеобразный и поддерживающій съ начала временъ блестящую и разнородную жизнь обитателей земного шара.

Живопись прерафаэлитовъ за все время ея существованія.

Съ многочисленными репродукціями съ картинъ 50 художниковъ.

Цѣна англійскаго изданія, послужившаго источникомъ для этой монографіи,—25 руб.

современный парижъ.

Этюды объ интереснѣйшихъ фазисахъ современной парижской жизни, промышленной и фешенебельной, официальной, литературной и артистической.

**Съ иллюстраціями Андре Кастенья**, рисунки котораго для напечатанной нами 1899 г. исторической монографіи проф. Уилера „Александръ Великіи“ и въ статьѣ „Семъ чудесъ міра“ обратили на себя общее вниманіе.

**Живописное и красивѣйшее на Всемірной Парижской выставкѣ 1900 г.**

Въ рисункахъ знаменитыхъ французскихъ художниковъ и въ наилучшихъ фототипическихъ репродукціяхъ.

**XIX ВѢКЪ ВЪ КАРИКАТУРАХЪ.**

Это—единственная въ своемъ родѣ юмористическая характеристика главнѣйшихъ событій общественной, литературной, художественной и артистической жизни уходящаго въ вѣчность столѣтія въ произведеніяхъ знаменитыхъ европейскихъ рисовальщиковъ, съ пояснительнымъ текстомъ.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1900 Г.

Годовая (съ 1-го января 1900 г.) Безъ доставки **4 р.** съ доставкой и пересылкой **5 р.** За границу **8 р.**

Полгодовая Безъ доставки **2 р. 50 к.** съ доставкой и пересылкой **3 р.** За границу **5 р.**

(Книга обходится подписчику менѣе 35 коп.).

Для гг. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденіяхъ допускается разсрочка за поручительствомъ ихъ казначеевъ.

Редакторъ-издатель **Ѳ. И. БУЛГАКОВЪ.**

подписка принимается:

Въ редакціи „новаго журнала иностранной литературы“—С.-Петербургъ. Малая Морская, д. № 9, и въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени„ (Невскій, 40). въ Москвѣ—въ конторѣ Н. Печковской (Петровскія линіи), гдѣ для московскихъ подписчиковъ допускается и разсрочка, а также принимается только годовая подписка безъ доставки въ Москвѣ—ц. 4 р. 50 к. Иногородные подписчики въ разсрочку благоволятъ адресоваться въ редакцію „Новаго журнала иностранной литературы“ (С.-Петербургъ, Малая Морская, 9). (4—უ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 Февраля 1900 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე